

საპრესბიურო

ეროვნული
სიბრძნის

საპრესბიურო

პარსაკეპი 16 თებერვალი 2001 №26 (1299)

ფასი 50 თეთრი



რომი, მბი, მბი: დაჭრილი და გოლი

რომაელმა პოლიციელებმა დილიდანვე ჩამოუარეს ბარებს და მეპატრონეები გააფრთხილეს — ინგლისელებს არ დააღვივინოთ! არადა, ბევრი ქომაგი ჩაჰყვა „ლივერპულს“, ასე, ოთხი ათასი იქნებოდნენ.

და გგონიათ, არ დააღვივინეს? მაშ, რატომ ჩაიმტვრა რამდენიმე ვიტრინა? რატომ ატყდა ჩხუბი ქალაქის მთავარ მოედანზე? რატომ გაუყარეს მუცელში დანა ერთ სტუმარს? რატომ გაუკეთეს სასწრაფო ოპერაცია მეორეს, რომელიც ახლაც უმძიმეს მდგომარეობაშია?

და როცა რომის ქუჩებში პოლიციამ მოჩხუბარნი გაჰყარა, მაიკლ ოუენის ჯერიც დადგა, რომელმაც „სტადიო ოლიმპიკოს“ 17 წლის წინანდელი ამბავი გაახსენა.

ამასობაში კი ათასი კილომეტრის იქით „ინტერმა“ კინალამ გაარღვია მოჯადოებული წრე, რომელშიც სახელოვანი მილანური კლუბი უკვე რახანია, იმყოფება. ეჰ, ასე იოლი რომ იყოს ჯადოსგან თავის დაღწევა — „ინტერს“ ვიგოში გატანილი სამი გოლი სამ წუთში ფრედ ექცა.



რომა — ლივერპული 0:2. მაიკლ ოუენის ამ დარტყმის შემდეგ ბურთი რომაელთა კარში მეორედ შევარდბა


იხილეთ მეორე გვერდი

ბრეზუპარ იაშვილის პრეზიდენტი: სისხლის ყივილი მამლის ყივილის ნაცვლად

ხვალ „ეროვნულზე“ ევროპის ერთა თასის მეორე ტურის მატჩია. ქართველი „ბორჯღალოსნები“ პორტუგალიელ „ლობოსებს“ შეერკინებიან. ჩვენებურები ჰოლანდიელი „ტიტების“ გადათელვის შემდეგ პირინელებსაც იგივეს უპირებენ და იქაინებიან, ჩვენს ქომაგებს აუცილებლად გავახარებთო.

ყველა ქართველი ლეგიონერი, რომელთაც მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა უხმო, უკვე თბილისშია. პორტუგალიასთან სათამაშოდ გამზადებულ გუნდში ერთი ისეთი „ბორჯღალოსანიცაა“, საქართველოში პირველად რომ ჩამოვიდა — გრეგუარ იაშვილი. წარმოშობით ქართველი ფრანგი მამა-პაპათა ფესვებს დაუბრუნდა, ჩვენს ეროვნულ ნაკრებში ერთხელ, ჰოლანდიაში, უკვე ითამაშა და ლელოს გატანაც მოასწრო. ხვალ კი იგი „ეროვნულზე“ პირველად წარდგება ქართველი მაყურებლის წინაშე და პირველად იგრძნობს ქართველთა მხარდაჭერას. მაშ, მივიდეთ ხვალ „ეროვნულზე“, ვუქომაგოთ საქართველოს, გავამხნევოთ გრეგუარ იაშვილი, სისხლის ყივილს „ბორჯღალოსანი“ რომ გაუხდია!

ინტერვიუ გრეგუარ იაშვილთან იხილეთ მეცხრე გვერდზე



ბადრი კითხილაქის ფოტო

უეფას მასი. პერვედფინალი
პირველი მატჩები. 15 თებერვალი

UEFA CUP

ალავესი (ესპანეთი) 3:3 ინტერი (იტალია)

10 ხავი მორენო (43), 11, 12 რეკობა (45, 50), 13 ვიერი (65), 23 ტელეხი (70), 33 ალონსო (73)
ალავესი: ერერა, კონტრას, ვენტი, ტელეხი, ჯელი, დესიო, პაბლო (მაგნო 68), ასტუდილიო (ბეგონია 34), ტომიჩი, კრუიფი, ხავი მორენო (ალონსო 68)
ინტერი: ფრე, ძანტე, კორდობა, ბროკი (კარილი 88), სიმინი, სერენა, იუგოვიჩი (კოე 76), ფარინოსი, დი ბაჯეო, რეკობა, ვიერი (მუქური 68)
მსაჯე: ა. შამერი (ლუქსემბურგი)

სლავია (ჩეხეთი) 0:0 პაიფერსლავტინი (გერმანია)

სლავია: ჩერნი, სუსკაიჩევიჩი, სუსოპარევი (ბეტროსი 63), პისკი, სამკოვიჩი, ლ. დოშევი, ულიხი, დოს-ტაგუა, კუჩარი, ტ. დოშევი (სანტარა 82), ზელენკა
პაიფერსლავტინი: გ. კოხი, ა. კოხი, რამზი, შოინდერგი (ლოკვენი 63), რატინიო (ბუკი 46), ბასლერი, ზრისტოვი, პეტროსონი, შტრასერი, კლოში, მარშალი
მსაჯე: ე. რომენი (ბელგია)

ამკ (საბერძნეთი) 0:1 ბარსელონა (ესპანეთი)

ამკ: ლუის ენრიკე (41)
ამკ: ბიმიბიდი, დელასი, კოსტინოლუ, ზაგორაკისი, მლაფინისი, ცარტისი (რუსი 58), ნიკოლაი-დისი (კონსტანტინიდი 78), ძიკოსი, კასაბისი, ლაკისი, პეტროვი
ბარსელონა: რენან, ზენდენი, აბელარდო, ფ. დე ბურა, სერხი, გვარდიოლა, კოკუ, გაბრი, რივალდო, ლუის ენრიკე (პეტე 68), კლუიფერტი (ალონსო 68)
მსაჯე: გ. ბული (ინგლისი)

პსვ ვინდჰოვენი (ჰოლანდია) 2:1 პარმა (იტალია)

10 იორი (24), 11 მბომა (67), 21 რომედალი (73)
პსვ ვინდჰოვენი: ვატერუსი, იორი, ნიკოლოვი, პოფლანდი, პეინცე, რონდალი, ვან ბოშელი, ფო-გელი, ბოუმე (კოლაკა 72), ბრუტინი (იონგი 72), კეშანი
პარმა: ბუფონი, ტურამი (კანავარო 52), ტორისი, ბენარდო, ფუზერი, ლანოკი, ალმეიდა, ფინიორი, კონსეისო, მილოშევიჩი (მბომა 57), დი ვაიო (ამოროზო 81)
მსაჯე: ვ. ვასარასი (საბერძნეთი)

შტუტგარტი (გერმანია) 0:0 სელტა (ესპანეთი)

შტუტგარტი: შილდებრანდი, ბინტო (შეიცი 87), სოლდო, ბორდონი, კარნელი, ლისტემი, ბალაკოვი (გრუბერი 56), მაისნერი, პინელი, ტიფერტი (აფემარი 56), დანდი
სელტა: პინტო, ველასკო, ვასერესი, ბერნესი, იაგო, ვაგნერი, ჯოვანელა (ბაიო 73), კარბანი (ალბერტი 84), მისტოვი, გუსტავო ლაპუსი, კატანია
მსაჯე: ა. დელასი (შოტლანდია)

რადიო ვალეპანო (ესპანეთი) 4:1 ბორდო (საფრანგეთი)

01 ლასლანდი (2), 11 კონტანი (19), 21 ბოლინი (73), 31 კეველი (82), 41 მიჩელი (90)
რადიო ვალეპანო: ლოპეტეგი, მანურო, ბალესტეროსი, კონტანი, ალსარი, ელდერი (გლაუსიო 76), პონერი, კეველი, მიჩელი, სემბრანოსი (ბარტელტი 60), ბოლო (ბოლინი 60)
ბორდო: რამე, გრენე, სმერტინი, სომეი, ლასლანდი, როშე, ბონისელი, ფეხალი (ბატლე 78), ლეგენსკი, დუგარი (ვილმოტსი 90), პაულეტა
მსაჯე: დ. მესინა (იტალია)

რომა (იტალია) 0:2 ლივერპული (ინგლისი)

01, 02 იუენი (46, 72)
რომა: ანტონიოლი, მანკონე, სამუელი, რინალდი, კანდელა, კაფუ, ემერსონი, ტომასი (ბატისტუტა 66), ნაკატა (ასუნსაო 51), დელვეკო (კოუგო 82), მონტელა
ლივერპული: ვესტერფელდი, ბაბელი, კარაგერი, პიიპა, ენოსი, პამანი, მაკალისტერი, ბარში, ციგე (შიცერი 74), იუენი (ლტმანენი 80), ფალკერი
მსაჯე: მ. მერი (გერმანია)

პორტუ (პორტუგალია) 3:1 ნანტი (საფრანგეთი)

01 ამაიდა (14), 11 ესკურდინია (17), 21 ფილე (58), 31 სეკრეტარიუ (87)
პორტუ: ოფინიკოვი, სეკრეტარიუ, ანდრადე, ფორე კოშტა (ალვენი 49), ესკურდინია, პერდესი, პელანი (დეკო სოუზა 46), ალენიევი, კაპუო, პენა, დროულუიჩი (მარინი 88)
ნანტი: ლანდრო, ლასპალე, ფაბრი, ფილე, ბრინი (სილვა 77), ბერსონი, როშე, კარიერე, საეინო, ოლეშე, ამაიდა (კრუზა 73)
მსაჯე: ვ. ბლავი (ავსტრია)



რომა — ლივერპული. „მატი“ მატჩამდე ლივერპული ფანები და რომელი კარბინერები



პსვ ვინდჰოვენი — პარმა 2:1. რაიოვალეო, რამდენი ფეხბურთედი

ალავესი — ინტერი 3:3. კრისტიან ვიერი: ლმერთო, გვიხსენ ჩალოსგან



ამკ — ბარსელონა 0:1. სტუმართაგან გოლის გამტანი ლუის ენრიკეს შეტერება თეოდოროს ზაგორაკისმა მხოლოდ ასე შეძლო

საფეხბურთო ნაწილობრივ უსაზღვრო ვაჭარი
აზია
X ჯგუფი
მონტეკალინი 06 საულის პრაკტიკი | განვლადში 04 პიტიანა

კალათბურთი სუპროლიგა
ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 15 თებერვალი
A ჯგუფი: ციბირი 82:72 სიბა, ულანი 93:91 ცსპ, ლიბავის რიტანი 87:78 ანათინაიუსი
B ჯგუფი: კრპა 102:100 დ.დ. (86:86) სპაგოლინი, პარტიანი 99:88 პლანი, პორტოზი 94:73 იუსი, მასპი 100:57 ბიბირი



შტუტგარტი — სელტა 0:0. შტუტგარტი კრისტიან ლისტემს ნაღდად მაგარდ ეტანა

REUTERS ათენიდან

REUTERS ეინდჰოვენიდან

REUTERS რომიდან

REUTERS ვიტორიადან

REUTERS სტუტგარტიდან

რუმინელი ოცნების გზაზე

მეტად უხერხულ დროს გაიხარა სპარინგ-მატჩი უკრაინასთან. ერთი შეხედვით, ძალიან ამხანაგურიც კი ჩანდა, თუმცა ეპიზოდურად ბრძოლა მაინც აღმავდა.

ნაკრებში გამომავლებულთაგან ზოგმა საკრებოში ვერ ჩამოაღწია, ზოგიც თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ეწვია დიდების საწვრთნელ ბაზას.

მწვრთნელმა ერთი სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარებაც ვერ მოახერხეს.

ხელისშემშლელი და უსიამოვნო ფაქტი სხვაც ბევრი იყო, მაგრამ საკრებოელს ეროვნული გუნდის ორი თავაკაცი მაინც კმაყოფილია. უკრაინასთან მატჩის რევია მოთქმული სელმძღვანელობდა, დავით ყიფიანი ტრიბუნიდან აღევნებდა შევირდებს თვალს.

„ვარჯიშით კმაყოფილი ვარ. ამის თქმის საფუძველს ფეხბურთელთა მომზადების დონე მაძლევს. უკრაინასთან მთლად გახსნილ თამაშს არ მივმართავ, რადგან არ გვინდა, რომ რუმინეთმა კარგად გენახოს“ — ამბობდა მოთქმული თამაშამდე.

„უხარისხო მინდორზე მოგვიწია თამაში და ჩვენი შესაძლებლობების ორმოცი პროცენტი წარმოვიჩინეთ. რომ არა ეს, უფრო სანაზაობრივი თამაში იქნებოდა, ლამაზ კომბინაციებსაც ვნახავდით და გოლებსაც“ — თქვა მატჩის შემდეგ ყიფიანმა.

მწვრთნელი მუდამ სხვაგვარად ფიქრობს და აფასებს. ვალდებულია, სხვებზე მეტი დანიხოს, ამიტომ გვინდა დავიჯეროთ, რომ უკრაინასთან წარმარებულ პრობლემები გუმწმინდელ მატჩთან ერთად ისტორიაში გადაინაცვლებს და რუმინეთთან ყველაფერი რიგზე იქნება.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის იმედით ქართველ ქომაგებს ვერ კიდევ აქვთ. ბევრს სჯერა, რომ ფეხბურთის ფედერაცია, მწვრთნელთა ტანდემი და ნაკრების წევრები ოცნებას რეალობად აქცივენ, მაგრამ პრობლემები...

პრობლემები მართლაც თავსაყრელადაა. ორგანიზაციულს თავი ვანებოთ, უხარისხო მინდორი, ცხელი წყალი, მყდრო გარემო. ბუნებრივია, ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს ფეხბურთელებზე.

ისევ დამაფიქრებელია ნაკრების წევრების გამძლეობა. კვლავ აფოვნებენ დაცვიდან შეტევაზე გადასვლას, თუმცა აღინიშნულია შედარება არ შეიძლება. ისევ ვერ ვიხილეთ გამორჩეული მეგობრე და კვლავ ქარს მიაქვს მეტოქის კართან სიმწირით შექმნილი საგოლე მომენტები.

„მაგრამ ეს ხომ ამხანაგური მატჩია, სადაც არაერთი ექსპერიმენტიც დასაშვებია და გამართლებულია. უკრაინელებთან მატჩს თავიდანვე გენერალური რეპეტიციის იარაღი მიეკერა, მაგრამ

ჩვენი აზრით, ეს არ იყო გენერალური რეპეტიცია, რადგან აქამდე (იტალიის შემდეგ) ნაკრებს ერთი ნორმალური ვარჯიშიც არ ჩაუტარებია.

ეროვნულმა გუნდმა მხოლოდ ათი-თხუთმეტი წუთი იტამაშა ისე, რაც რუმინეთთან წარმატებული გარჯის იმედს იძლევა. სადებიუტო წუთებში იყო პრესინგი, ინდივიდუალური ოსტაბტობასთან შეჯერებული მწვობრი თამაში და იყო თავდაუზოგაობაც.

მერე ყველაფერი შეიცვალა. მოთქმული მითითებით, ფეხბურთელებმა ხშირად იწყეს ადგილების ცვლა. ეს თუ რუმინელი მზირის დასახნევად იყო მოფიქრებული, არა მგონია, ფანდმა გაცხრას. რუმინელებმა ნახეს ლიტვაში ჩვენებურების თამაში. იტალიასთან მატჩს კი ლადისლაუ ბოლონი თავად დაესწრო.

თუ უკრაინელებთან ადგილების ხშირი ცვლა ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებით იყო ნაკრახხვეი, მაშინ სასაყვედუროც არაფერია.

ნადრეველ ხომ არ დაიღვანენ ნაკრების ფეხბურთელები? პირადად მე და ბევრ სხვასაც მოეჩვენა, რომ დაიღვანენ. ეს ეტყობოდათ კიდევ გოჩა ჯამარაულს, თემურ ქეცბაიას, არჩილ არველიაძეს. თემური უკვე ვეტერანია, მართალია, იგი ისევ ძველებურად ბრწყინვალეა, მაგრამ ნახევარდაცვაში 90 წუთს გარჯას ვერც მოსთხოვ. გოჩა აშვილი ნემსაძესავით მკვირცხლი იქნება შეტევასა, ხოლო გიორგი ალეკოშვიტი შემართული დაცვაში.

შუა ხაზის მარჯვენა ფლანგი რომ თემურ ქეცბაიასა, საკამათო არ გახლავთ. მარცხნიდან ბევრს შრომობს მიხეილ ყაველაშვილი. მიშა ნამდვილად სასარგებლო მოთამაშეა, ოღონდ გოლებს გატანაც მართებს.

რამდენიმე წელიწადია, კამათობენ, ვინ უნდა იტვირთოს გამოთამაშების მიხედვით ფუნქცია — გიორგი ქინქლაძე თუ გოჩა ჯამარაულმა? ყველას თავისი აზრი აქვს, მწვრთნელსაც და ქომაგსაც. მაინც რომელი? გიორგი ტრავმირებულია და ახლა არავინ იცის, მარტის ბოლოს როგორ ფორმაში იქნება. გიორგი კი კარიერის საუკეთესო პერიოდი უღვას. ყველაფერს, ალბათ, კონკრეტული შემთხვევა, რუმინეთთან მატჩისწინა შეკრება გამოაჩენს. რა თქმა უნდა, ნაკრების მწვრთნელთა აზრიც უფრო კომპეტენტური იქნება. ჩემი აზრით კი, ორივეს ერთად მინდორზე ყოფნა ისეთი ფუფუნებაა, რაზეც დღევანდელმა ნაკრებმა უარი უნდა თქვას. ან ქინქლაძე, ანც ჯამარაული. არჩევანი მწვრთნელების გასაკეთებელია.

მივაღვივოთ ყველაზე მეტპოპულარო პრობლემას — თავდასხმა. კარგი შედეგის მიღწევასთან დაკავშირებით, თუ რომელიმე განაპირა მცველმა (ალბათ, კო-



დავით გვარამამძემ ანდრე გორობვის არ გაატანინა

ბაშვილმა) მთელი ფლანგის კონტროლი არ იცისრა.

საყრდენების საკითხიც გარკვეულია. ალექსანდრე რეხვიაშვილი და გიორგი ნემსაძე შესაფერისი წყვილია. მათი მორევა ყველას გაუჭირდება, თუ რეხვიაშვილი ნემსაძესავით მკვირცხლი იქნება შეტევასა, ხოლო გიორგი ალეკოშვიტი შემართული დაცვაში.

შუა ხაზის მარჯვენა ფლანგი რომ თემურ ქეცბაიასა, საკამათო არ გახლავთ. მარცხნიდან ბევრს შრომობს მიხეილ ყაველაშვილი. მიშა ნამდვილად სასარგებლო მოთამაშეა, ოღონდ გოლებს გატანაც მართებს.

რამდენიმე წელიწადია, კამათობენ, ვინ უნდა იტვირთოს გამოთამაშების მიხედვით ფუნქცია — გიორგი ქინქლაძე თუ გოჩა ჯამარაულმა? ყველას თავისი აზრი აქვს, მწვრთნელსაც და ქომაგსაც. მაინც რომელი? გიორგი ტრავმირებულია და ახლა არავინ იცის, მარტის ბოლოს როგორ ფორმაში იქნება. გიორგი კი კარიერის საუკეთესო პერიოდი უღვას. ყველაფერს, ალბათ, კონკრეტული შემთხვევა, რუმინეთთან მატჩისწინა შეკრება გამოაჩენს. რა თქმა უნდა, ნაკრების მწვრთნელთა აზრიც უფრო კომპეტენტური იქნება. ჩემი აზრით კი, ორივეს ერთად მინდორზე ყოფნა ისეთი ფუფუნებაა, რაზეც დღევანდელმა ნაკრებმა უარი უნდა თქვას. ან ქინქლაძე, ანც ჯამარაული. არჩევანი მწვრთნელების გასაკეთებელია.

მივაღვივოთ ყველაზე მეტპოპულარო პრობლემას — თავდასხმა. კარგი შედეგის მიღწევასთან დაკავშირებით, თუ რომელიმე განაპირა მცველმა (ალბათ, კო-

გოლი სათვალავში ჩასადების არ არის. უფროდ მოვიყაროთ იტალია და ასევე გავეუშვიოთ უკრაინაც.

არადა, კარგი თავდასხმელები თითქოს არ გვაკლია — შოთა არველიაძე, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრადე, ზაზა ჯანაშია, არჩილ არველიაძე, მიხეილ ყაველაშვილი, მიხეილ აშვეთია და რატი ალექსიძე.

ამთვან ოპტიმალური დუეტის შექმნა რატომაც ვერ ხერხდება, თუმცა ისიც ხომ საკითხავია, ბოლოს როდის ითამაშა ეროვნულმა გუნდმა ორი გამოკვეთილი და მართლა ფორვარდით!

გუმინ, ბევრისთვის მიუღლოდნულად, საიმედო და მშვიდი იყო ნაკრების მეკარე დავით გვარამაძე. ერთხელ გვიხსნა კიდევ, როცა მცველებს ვირობემ გაასწრო და დარტყმაც მოახერხა. პოზიტიურადც უმეცლოდ გახლდათ გვარამაძე და გამოსვლებზეც სოლიდური. ესე იგი, მეკარის პრობლემა მოგვარდა? ვნახოთ, თუ დათო ისეთ კლუბს გამოიშავებს, სადაც სათანაოდ პრაქტიკა ექნება, მაშინ, არადა, ზოიძე, გრიშაკაშვილი...

არა, ვერც ბევრია საფიქრალი და დასახვეწი. ეს ჩანდა ლიტვაში და იტალიაში, გამოჩნდა უკრაინასთან. ერთია მხოლოდ ნათელი — რუმინეთთან უმინშენლოვანისი და უმბიმესი ბრძოლა გველის. ოცნება ზოგჯერ სასარგებლოა, მაგრამ რა მოგვცა უკრაინის ულიდერებო გუნდთან ამხანაგურმა პაექრობამ, მხოლოდ 28 მარტს გამოჩნდება.

მადონა კვანალიანი



ნაკრების მწვრთნელმა მიხეილ აშვეთიამ გამოსცადეს

ჰერბალ-ვი ვიარბარს მენაარაული ალბერნატივ

სამსახურაპი აპროპიოპიის რაპორტისაპის აპროპიოპიის რაპორტისაპის მენაარაული რაპორტისაპის

HERBAL VY — მენაარაული რაპორტისაპის — ასოლოტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებით, — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სეკსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — ნარმატივით სხვის სექსუალური დარღვევებით გამოხვეულ ტყვილებს ნელისა და მეტის არემი, მატებს ენერჯისა და სიცოცხლის ხალისს; — როლი, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ფუნქტს;

„ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლოტურად ვანარბული მამაკაცებიც, რომლებსაც ნერული დაძაბულობისა და გადაღობულობის გამო დროადი დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, ავრთვე სპორტსმენები, საუკეთესო სპორტული შედეგების მისაღწევა!

HERBAL VY — „ვიარბარ“ — უადრესად პოპულარული, უსაფრთხო მცენარული ალბერნატივა მსოფლიოს ელიტარული საზოგადოებაში!

ინგლისურ-მედიცინური კომპანია „სეისპელისი“ ნანარბი.

აილეთ მსოვრებისგან საუკეთესო!
მომიოთხათ საათშიაპო რაპორტისაპი და აუთიარაპი

„სეისპელისი“ მსოვრებისაპი დოსტობისაპი კომპანია „ფორბრი“ 0. 93-07-07



ბოლონია კოლნუი და თბილისში

რეზონანსი იტალიაში თამაში რუმიანოვსა და კიკია



ალექსანდრე რეზინაშვილი

რეზინა „სკონტოს“ თანხმად, თავის კაპიტანს, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ალექსანდრე რეზინაშვილს კონტრაქტის გასრულებამდე შეელოს.

აღრევ ვწერდით, რომ ალექსის გადაბრუნების სურვილი სერია A-ს „ბოლონიას“ აქვს და ტრანსფერის თა-

ბაზე „სკონტოს“ ხელმძღვანელებთან უკვე მოლაპარაკებაც დაიწყო. იტალიელები რეზინაშვილის თამაშის სანახევად საქართველო — უკრაინის მატჩსაც უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ რადგანაც ამხანაგური იყო, მათ თბილისში ჩამოსვლისგან თავი შეუკავეთ და ამ თამაშის ვიდეოფირი უთხოვიათ, თუმცა „ბოლონიას“ ერთ-ერთი მწვრთნელი და ფიფას აგენტი რეზინაშვილის საქმეში ნახვას 27 თებერვალს კოლონში აპირებენ, „კოლონიას“ და ჩვენი ეროვნული გუნდის ამხანაგური მატჩისას. საბოლოო გადაწყვეტილებას კი „ბოლონიას“ 28 მარტის შემდეგ მიიღებს, როცა საქართველო რუმიანოვს უმასპინძლებს. იტალიელებს უთქვამთ, ფეხბურთელის ნაღდი ძალია ოფიციალური მატჩისას უკეთ გამოჩნდება.

ერთი სიტყვით, სერია A-ს გზას ერთი ქართველიც ადგას. ვნახოთ, რუმინეთამდე რაღა დარჩა. სავარაუდო ტრანსფერის თანხა კი, „სკონტოს“ წარმომადგენელთა თქმით, იმდენი იქნება, რომ ნორმალური გუნდი რეზინაშვილისნაირი ფეხბურთელის შესაძენად არ დაინანებს.

კობა ინასარიძე

ქრდული ავტობრაზი

შოკოვსკი მოვარავეს: ფული თქვენ, საბუთები მე

თვითმხილველებს, ალბათ, დღესაც კარგად ახსოვთ პორტუგალიური „ბოავიშტას“ ფეხბურთელების დაზაფრული სახეები. ოთხი წლის წინ პატარა ვაუგებრობა მოხდა. თბილისის „დინამოსთან“ უეფას თასის მატჩის შემდეგ პორტუგალიელები გასახდელში შევიდნენ, იქიდან — საშხაპეში და ვიდრე ცხელი წყლის ჩვენებურ სისტემას შეეგუებოდნენ, ლამის გამოიბუგნენ. ნახევრად შიშველმა

სტუმრებმა ძლივს უშველეს მანთ თავს... მოვივინებით, იგივე შეემთხვა ესპანურ „ბილბაოსს“. ყოველივე კი დღეს კურთხვად ვგახსენებდა.

გუმინწინ საქართველო — უკრაინის ამხანაგურ მატჩის შემდეგ მომხდარს კი სამარცხვინო უფრო ეთქმის. კიევის „დინამოსა“ და უკრაინის ნაკრების მეკარე ალექსანდრე შოკოვსკი ჯიბეცარიელი გაბრუნდა შინ.

ყველაფერი კი ასე მოხდა: ნამატჩევს გასახდელიდან გამოსულ სტუმარ ფეხბურთელებს ავტობრაზის მოთხოვნები დაეხვივნენ. ქართველებთან მატჩში შოკოვსკი უკრაინელთაგან საუკეთესოდ დაასახელეს, ბუნებრივია, მასზე ერთიორად დიდი იყო მოთხოვნილება. ისიც, თავაზიანად მოდებარი, უარით არავის ისტუმრებდა. მერე კი, ავტობრაზში ასულმა გააკრიკა, რომ საფულე გამქრალიყო.

200 დოლარი, 850 უკრაინული გრივნა (308 ლარი), ათამდე პლასტიკური ბარათი, მანქანის ტექპასპორტი, მართვის მოწმობა — ეს ყველაფერი შოკოვსკის საფულესთან ერთად აწაპნეს. ბედად, ფეხბურთელის პასპორტი ნაკრების ადმინისტრატორს ჰქონდა, თორემ თბილისში დარჩენაც არ ასცდებოდა უკრაინელ მეკარეს.

მომხდართან დაკავშირებით სფუმ საქმის კურსში ჩააყენა უკრაინის ვიცე-კონსული საქართველოში სერგეი კანანენკო, თუმცე ეს ჩინოსანი, აბა, რას გააწყობდა. ერთი კია, კანანენკომ სრული მზადყოფნა გამოთქვა დაკარგული ნივთების მოსამიებლად და პატრონისთვის გადასაგზავნად.

თავად შოკოვსკი ამ ფაქტს არ აღუფოთებია. მესმის, ხალხს უჭირს, მსგავსი შემთხვევები უკრაინაშიც ბევრია, ფულზე არ ვჯავრობ, გვებ საბუთების დაბრუნება მაინც შეუძლო.

მოკლედ, ჩვენი იმის თქმალა დაგვრჩენია, რომ თუკი ვინმე შოკოვსკის დაკარგულ საბუთებს იპოვნის, უკრაინის საკონსულოს ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიმართოს.

ბაბაბა გვანათლიანი



ალექსანდრე შოკოვსკი თბილისიდან ჯიბეცარიელი წავიდა

უკრაინასთან მატჩისთვის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ თურქული „ერზურუმდანი“ იხმო 19 წლის ნახევარმცველი დავით სირაძე ამ ფეხბურთელს ადრე არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ უთამაშია, არც ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი დაუჭაშნიკებია, მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრე იცნობდა.

უკრაინელებთან შეხვედრაში მან სულ ოცი წუთი შეცვლაზე ითამაშა, დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, საზრიანად და თავდაჯერებულად მოქმედებდა თვალშისაცემი იყო მისი ათლეტური აღნაგობაც.

— აქამდე არც ერთ ნაკრებში ვითამაშია, არც „დინამოს“ ძირითადში. მაშ, როგორღა მოხვდი ორი წლის წინ თურქულ „ერზურუმში“?

— „დინამო 2“-ში ვითამაშობდი, როცა მამაჩემისა და ჩემი მენეჯერის ვალერი კობახიძის ძალისხმევით „ერზურუმში“ გასინჯვაზე ჩავედი. იქაურ გარემოსთან შეგუება იოლი არ ყოფილა, დაახლოებით სამი თვე მხოლოდ ვარჯიშებზე მაკვირდებოდნენ. რა თქმაუნდა, ჯერ „ერზურუმის“ ახალგაზრდულ გუნდთან ვვარჯიშობდი და როგორც კი მის რიგებში პირველად მათამაშეს, გოლიც ვავიცი „ანთალიას“ კარში. ამის მერე მუდმივად ვითამაშობდი „ერზურუმის“ ახალგაზრდულ გუნდში. მომდევნო სეზონიდან კი უკვე პირველ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, თუმცე ძირითადში ჯერ არ მითამაშია.

— „ერზურუმში“ შენს მომავალს როგორ უყურებ?

— შარშან ივნისში მოვაწერე ხელი კლუბთან კონტრაქტს — იქ კიდევ ორ წელიწადს დავრჩები, მერე კი ვნახოთ. — 19 წლის ხარ, „ერზურუმის“ ძირითად შემადგენლობაში ჯერ ვერ ხვდები და იქნებ საქართველოში თამაში შენთვის უკეთესი იყოს. — არა, აქ დაბრუნების სურვილი ნამდვილად არ მაქვს. აქაურობასა და თურქეთს შორის დიდი განსხვავებაა. თურქეთში ვატარებულ იყო ორი წელი ერთობ ნაყოფიერი იყო ჩემთვის. პირველ რიგში, მოვლინიერდი და უფრო გამძლე ვავხდი. ვთვლი, რომ ზრდის-

დეზიუბანტი უცოლომდანი



დავით სირაძემ (მურთით) ახალგაზრდულ ნაკრებში პირველად ითამაშა

თვის იქ უკეთესი პირობებია. — ფინანსურ-მატერიალურ პირობებით კმაყოფილი ხარ? — დიახ, ერზურუმში კლუბის ბაზაზე ვცხოვრობ. ჯერ მარტოხელა ვარ და ესეც მაკმაყოფილებს. ბაზაზე მხოლოდ უცოლოები ვცხოვრობთ. მეუღლე რომ მყავდეს, კლუბი ბინასაც მომცემდა. — თურქეთის პირველ ლიგაში „ერზურუმში“ ახლა ბოლოდან მეორე ადგილზეა. — თუ „ერზურუმში“ გავარდება, შე-

თანხმების თანხმად კლუბი გამასხვიებს პირველი ლიგის რომელიმე გუნდში. თანაც თურქეთის მეორე ლიგის გუნდს არა აქვს უფლება, ლეგიონერი იყოლიოს. — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებაზე რას იტყვი? — ძალიან კმაყოფილი ვარ, მე ხომ პირველად მიმიწვიეს ნაკრებში და მისი ხელმძღვანელობისადმი მადლობის მუტი რა მეთქმის. **დავით თამარაძე**

წიე და ოთხუანსიანი

ფიტბოლის კიევის, ასათიანს კი გერმანელმა უთვალთვალა

— კიევის „დინამოს“ და დონეცკის „შახტარის“ სკაუტები რამდენიმე ფეხბურთელი დაინტერესდნენ. მათი ყურადღების მთავარი ობიექტი 19 წლის მზარდი ვარსკვლავი, ქუთაისის ტორპედოელი მალხაზ ასათიანია. მას ასევე ნახავენ „დორტმუნდი“ და „ფრაიბურგი“, რომლებმაც თბილისის მატჩზე საკუთარი წარმომადგენლები მიავლინეს. კიეველთა სკაუტი ასათიანის გარდა ებრაელი რიშონის „ჰაპოელის“ თავდამსხმელ კლიმენტი წიტიანიშვილსაც დააკვირდება — იტყობინება უკრაინული გაზეთის, „სპორტივნა უკრაინა“ კორესპონდენტი იგორ ლინნიკი.

ასათიანიცა და წიტიანიშვილიც, მოგეხსენებათ, საქართველო — უკრაინის ახალგაზრდულ გუნდთა გუმინწინდელ მატჩში სამონაწილეოდ ჩამოვიდნენ უცხოეთიდან თბილისში. ქუთაისელი „ტორპედოს“ გამოაკლდა შუა ბელგიური შეკრებიდან, ზუგდიდელმა კი სამშობლოს ისრაელიდან მოაშურა. ქუთაისელთა საყრდენი ნახევარმცველი ამ შეკრებამდე ეროვნული გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდა, მაგრამ მისი დებიუტი საქართველოს უპირველეს გუნდში გადაიღო.



მალხაზ ასათიანი



კლიმენტი წიტიანიშვილი

პაიკო პერლიხა სიკვდილთან თაბაში დაატეხით დროში გადაიყვანა

გუშინ გერმანელმა ექიმებმა საზოგადოებას ერთი სასიხარულო ამბავი ამცნეს — დორტმუნდის „ბორუსიას“ ფორვარდი პაიკო პერლიხი სრულიად გამოჯანმრთელდა. შარშან ნოემბერში გერმანული საფეხბურთო სამყარო შოკში ჩავარდა, „დორტმუნდის“ 28 წლის ფეხბურთელს ექიმებმა საშინელი დიაგნოზი დაუდგინეს — თავის ტვინის კიბო. სპორტულ კარიერაზე აღარავინ ფიქრობდა, ან კი რა დროს ეს იყო, როცა პერლიხის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მაშინ პაიკოს გამოჯანმრთელებაზე ლაპარაკს ვერავინ ბედავდა. სამაგიეროდ, თავად თავდასხმელი არ იტყვებდა იხტიბარს (ხმამალა, თორემ მის გულში რა ხდებოდა, ღმერთმა უწყის).

„მინდა ბიჭებმა იცოდნენ, რომ დღეიდან ბრძოლას ვიწყებ, კიბო უნდა დავამარცხო“ — პერლიხმა ეს სიტყვები იმ წერილში დაწერა, რომელიც კლუბის პრეზიდენტ გერდ ნიგებაუმს მაშინ გაუგზავნა.

კიბო უნდა დავამარცხო — პერლიხის ეს ნათქვამი ბევრმა განწირული კაცის ამოძახილად ჩათვალა. მაგრამ მან დაამარცხა, სულის სიმტკიცე გამოიჩინა, არ დაეცა. ამაში მეგობრებიც დაეხმარნენ. დორტმუნდელი ფეხბურთელები საავადმყოფოში ხშირად აკითხავდნენ, ყურადღებას არ აკლებდნენ. ახლაც ასე გრძელდება, პაიკოს ხშირად ხედავენ თანაგუნდელებთან ერთად პარკში მოსიერნეს.

„ბედნიერი ვარ“ — დღეს მისგან მხოლოდ ეს ისმის. „სხივური თერაპია შედეგადად აღმოჩნდა, პიდელებერგის საავადმყოფოს ექიმებმა არაფერი დაიშურეს. და აი, შედეგიც, სიმსივნე პრაქტიკულად დამარცხებულია“ — აღნიშნავს პერლიხი.

მკურნალობის კურსი რომ კარგად მიდიოდა, ამის თაობაზე ინფორმაციები ხშირად იბეჭდებოდა, ახლა კი ყველაფერს წერტილი დაესვა. პერლიხის გამოჯანმრთელება იმას



პაიკო პერლიხი კიდევ ერთხელ

როდი ნიშნავს, რომ იგი უკვე მინდორს უბრუნდება.

„ვიპო კიდევ დიდი დრო მჭირდება. ახლა უბრუნდეს ყოვლისა უნდა დავისვენო, რადგან ავადმყოფობამ ბევრი ენერჯია წამართვა. გამოფიტული ვარ, ვიდრე ქომაგები მინდორზე კვლავ მიხილავენ, კიდევ ბევრი კვირა ჩავივლი“ — ამბობს პერლიხი.

როდის დაბრუნდება პაიკო, ამას ალბათ დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ესაა — პერლიხის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

მანო მაროზიანიძე

დაბთხვეულია ეს...

ვიტორ მანრიკამ, „ვილიარეალის“ მწვრთნელმა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა და თავისი საუკეთესო ახალწვეული, 27 წლის მარტინ პალერმოს საზოგადოებას გააცნო. პრიმერადივიზიონის ბოლო ორ ტურში „ალავესთან“ და „ოვიედოსთან“ არგენტინელმა ერთგვარი მოთელვა გაიარა. პირველად თითქოს შებოჭილიყო და ის რუმინელმა გეორგე კრაიოვიანუმ შეცვალა, მერე კი გაიძაღა, „ოვიედოს“ ერთი თავად გაუტანა და ერთიც ხორხე ლოპესს გაატანა. მოკლედ, დებიუტი შედგა და პალერმო ესპანური საფეხბურთო ოჯახის სრულყოფილებიანი წევრი გახდა.

უცნაური კაცია პალერმო. იცით რას ეძახიან არგენტინაში? EL LOCO, რაც ქართულად დაბთხვეულს ნიშნავს. მართლაც, ცოტას თუ შეუძლია მისებრ გარდანიქნობა.

ერთხელ ქალის კაბა ჩაცვა, მერღონ მონროს გრემი გაიკეთა და არგენტინული ჟურნალისთვის იფოტომოდელა. ოთხი წლის წინ რამდენიმე დღით ბრაზილიაში წავიდა და იქიდან ცოლიანი დაბრუნდა.

მისი გოლისშემდგომი რიტუალი ზომიერად ერთი მსახიობის თეატრია. შეუძლია ხელეგბამილიმა ნახევარი მიწოდორი გადარბინოს, ცეცხლოვანი არგენტინელი იცეკვოს ან გულშემატკივრებთან ტრიბუნაზე ახტეს და ჩაეხუტოს. ერთხელაც საერთოდ გაუგონარი რამ მოიმოქმედა. „კლასურას“ მატჩში ჩვეულებრივი გოლი გაიტანა, მერე ნიფხავი ჩაიძრო და თავისი საოხრე გაჭვივდა ტრიბუნებსა და მილიონობით ტელემყურებელს უჩვენა... გაოგნებული მსაჯე იჯერ ვერ მიხვდა, მერე კი აბეზარი უმაღლესად გააძევა.

აბა, ვის შეუძლია ერთ მატჩში სამი პენალტი დაარტყას და ვერცერთი გაიტანოს, ანდა „ლაციო“ და „ოვიენტუსი“ ეპატაუებოდნენ და „ვილიარეალში“ აღმოჩნდეს? ვის შეუძლია მეტოქეს ფეხიდან თავით აართვას ბურთი და მდრიდის „რეალს“ ექვს წუთში ორჯერ გაუტანოს? EL LOCO მხიარული ბიჭია.

მარ დელ პლასაში კოხტა სახლი აქვს. ერთი ოთახი მუხუშუდ გადაუქცევია. თაროებზე თასები და მედლები გამოუფენია, ხოლო კედლები საკუთარი ფოტოებით აუჭრელებია. ძალიან უყვარს თმის ღებვა, სამაჯურები და ნაირგვარი ზოხილ-პაილიები. როგორ გგონიათ, არგენტინის ნაკრების მწვრთნელყოფილი პასარელა ასეთ კაცს იგუებდა? ახლა საქმე უფრო იოლა-

დაა, ოღონდ კარგად იცომა, რომ რუსული დელტა ტრაველს ნახაძლოს ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ სამხრეთში რიგობისას გადაარტყელს ეძახიან.

ბოლო „კოპა ამერიკაზე“ პალერმო გმირი უნდა გამხდარიყო, მაგრამ პირიქით მოხდა. პირველ მატჩში ეკვალიორთან დუბლი შეასრულა და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. აი, მომდევნო თამაშში კი კოლუმბიასთან სამი პენალტი ვერ გაიტანა... ამ ტრაგიკომედიას არგენტინელი პრესა მკაცრად გამოეხმაურა და კარლოს ბიანკისა თუ დიეგო მარადონას გარდა თავდასხმლის დაცვა ქვეყნის პრეზიდენტ კარლოს მენემსაც მოუხდა.

„ბოკაში“ ის სამი წლის წინ „ესტუდიანტესთან“ მივიდა და ორჯერ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ჯამში, აპერტურა — კლასურებში 100-ზე მეტი გოლი გაიტანა და ქომაგებსაც თავი ერთობ შეაყვარა.

მიმე ტრავმის შემდეგ მინდორს 2000 წლის მაისში დაბრუნდა. პირველივე მატჩში, ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალში, „რივერ პლეიტის“ წინააღმდეგ 15 წუთი ითამაშა და გატანაც მოასწრო. მერე კი იყო დაუეწყვარი თამაში ტოკიოში. „ბოკა“ საკონტინენტთაშორისო თასს ლეიპციგში ფიგუროვებულ ევროპის საკლუბო ჩემპიონ მადრიდის „რეალს“ ეცალკეობდა. უკვე მეორე წუთზე დელგადოს ჩაწოდებული პალერმომ დააგვირგვინა. სრული ოთხი წუთიც არ გასულიყო, რომ დამთხვეული ზუან რიკელმეს პასს დროულად გამოეხმაურა და მეორე შეაგდო. ორი გოლი ექვს წუთში, ასეთი რამ თასის ისტორიას არ ასსოვს... მადრიდელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს და რაღა გასაკვირია, რომ პალერმო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს და ახალთახალი „ტიოტას“ გასაღებიც ჩაურხრიალეს.

„ვამაყობ ჩემი შვილით. შარშან მან უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ გაუძლო და ისევ ფორმაში ჩადა. თუ ევროპაში გადავა, მარტინით კიდევ უფრო ვიამაყებ“ — იტყვის მეორე დღეს პალერმო უფროსი — კარლოსი. ისე, საინტერესო კი იქნებოდა გვენახა, როგორია პალერმოს მამა. ანდა რას ფიქრობს მიგელ ანხელ რუსო, „ესტუდიანტესში“ ფორვარდის პირველი მწვრთნელი. თავის დროზე რუსოს მარტინისთვის შეუხედავს და დაახლოებით ასე უთქვამს: წადი, ბიძიკო, წადი, ფეხბურთი შენი საქმე არ არისო...
სოლომონ გულისაშვილი

აფხაზ ბაფური



შტეფან ეფენბერგმა და „ბაიერნმა“ ხელი ხელს დაკრეს

მიუნხენის „ბაიერნი“ მომავალზე ფიქრობს. კლუბის პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს კი მომავალი ოტმარ პიტეფელისა და შტეფან ეფენბერგის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ბავარიელებმა ცოტა ხნის წინ მოლაპარაკებები წამოიწყეს პიტეფელთან. მას კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორი წელი ჰქონდა, თუმცა მოუნებნელებს ეს არ აკმაყოფილებდათ და 2004 წლამდე გაუხანგრძლივეს, თან ხელფასაც მოუმატეს. 32 წლის ეფენბერგს „ბაიერნთან“ ხელშეკრულება 2002 წლის ივნისა-

მდე აქვს, მისი მიხედვით, გერმანელ ნახევარმცველს წელიწადში 7 მილიონ მარკა ერგება, თუმცა, როგორც ჩანს, „ეფე“ 10 მილიონს მიიღებს, სანაცვლოდ კი კლუბში პიტეფელის მსგავსად 2004 წლის ივნისამდე დარჩება. მოლაპარაკებები დაიწყო და იცით, ვინ წარმოადგენს ფეხბურთელის მხარეს? მისი მეგობარი ქალი მარტინა, რომელიც „გელფრენდობას“ არ დასჯერებია და შტეფანის მენეჯერობაც შეუთავსებია. ეფენბერგმა გერმანულ „ბილდს“ ამას

წინათ გაუმხილა, გერმანიაში დარჩენას, სხვაგან წასვლა მირჩევნიაო. სად, არც ის დაუმაღავს, ინგლისში თამაში მსიბლავსო, აღიარა, მაგრამ... ტყუილად როდი უთქვამთ, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო. სადაც ჯოჯოხეთს ანათებს, ეფენბერგის გონებას ვერ გაანათებდა მიუნხენურად? პოდა, „ეფემაც“ თქვა, სხვადასხვა კლუბებიდან წინადადებები არ მაკვია, მაგრამ ალბათ ისევ ბაიერნელი ვიქნებიო.

ამ ამბავს მიუნხენური კლუბის უფროსობა სიხარულით შეეგება. „ეფენბერგი ის ფეხბურთელია, რომლის დარიც „ბაიერნს“ ჩემი თაობის მერე არ ჰყოლია“ — თქვა წარსულში სახელდობანა ფეხბურთელმა პოლ ბრაიტნერმა. ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ ბრაიტნერი იმ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც 70-იან წლებში „ბაიერნს“ სამჯერ მოაგებინა ჩემპიონთა თასი.

სწორედ ის ჯილდო, რომლის მოგებაც ეფენბერგის უმთავრესი ოცნებაა. „ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ჩემთვის მსოფლიოს ჩემპიონობის ტოლფასია“ — აღიარებს ბავარიელთა კაპიტანი, რომელმაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გულშემატკივრებს ხელის შუა თითი უჩვენა და ამის გამო ეროვნული გუნდის თავკაცმა ბერტი ფოფტსმა გუნდიდან მოკვეთა. მერე კი ეხვეწნენ შტეფანს, დაბრუნდიო, მაგრამ ფეხბურთელმა იუარა.

ცოტა ხნის წინ „ბაიერნს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აუჯანყდა. კლუბის უფროსობა მაღალ-მაღალ მიხნებს კი გვისახავს, მაგრამ თავად საამისოდ არაფერს აკეთებსო. აჯანყებულები სატრანსფერო ბაზარზე „ბაიერნის“ პასიურობას გული-სხმობდნენ. ეფენბერგმა მაშინ პირში წყალი ჩაიგუბა, თანაგუნდელები მხარდაჭერას განზე დგომა არჩია. სამაგიეროდ, ახლა თქვა, გაძლიერება არ გვაწყენდაო. მერე ისიც დაამატა, ვიცო კლუბის გეგმები, მასში მომავალ ზაფხულს რამდენიმე მაღალი კლასის მოთამაშის შემენაც შედისო. ზაფხულამდე კი...

ზაფხულამდე ეფენბერგს კიდევ ერთი შანსი აქვს იმისა, რომ ოცნება აისრულოს და ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. მანამდე კი „ეფე“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება. ეს, ალბათ, უახლოეს დღეებში გადაწყდება.
მანო მაროზიანიძე



მარტინ პალერმოს სტრატეგი-შოუ

საინფორმაციო სისტემები

კუბერტენმა დაგვიბარა ანუ დევიდ ბექემი ბრიტნი სპირსია

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „იანკი ნეთსმა“ საუკუნის კონტრაქტი გააფორმეს — ეს უკვე ვიცით. თითქოს რა ჩვენი საქმეა სხვისი ფულების თვლა, მაგრამ ვფიქრობთ, ეს უფრო საზოგადო საქმეა და არა თრი კერძო კომპანიის კერძო გარიგება.

მსოფლიოს უპოპულარესი და უმდიდრესი კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ წინა კვირაში ნიუ იორკში განაცხადა, რომ კლუბი ამერიკული „იანკი ნეთსის“ სტრატეგიული პარტნიორი გახდა. ამერიკული კომპანია, თავის მხრივ, აერთიანებს ოკეანისგამოღობი სპორტის ისეთ მონსტრებს, როგორებიცაა: ბეისბოლში „ნიუ იორკ იანკის“, კალათბურთში „ნიუ ჯერსი ნეთსი“, ჰოკეიში „ნიუ ჯერსი დევილზი“ და ამერიკულ ფეხბურთში „ნიუ იორკ ჯაიანტსი“.

აღნიშნული შეთანხმება, რომლის დეტალებაც, დამკვირვებელთა ვარაუდით, სამ მილიარდ დოლარს უტოლდება, მხარეებს ზღაპრულ მოგებას ჰპირდება და მათ მეტ საშუალებას მისცემს ატლანტიკის ორივე სანაპიროზე გულშემოტყვიართა ვიბეების დასაცარილებლად. და ერთიც, ეგებ მთავარიც — ევროპული ფეხბურთი უფრო და უფრო მეტად დაემსგავსება შოუ-ბიზნესს, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად კარგა ხნის წინ ქვეყნულ სპორტი ჩრდილოეთ ამერიკაში.

კომპანიების გაერთიანებით მიღებული სარგებელი იმდენად დიდი და თვალშისაცემია, რომ გასაკვირია, აქამდე როგორ ვერაინ მოიფიქრა. შვიდი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებით ამერიკაში ჩვენებური ფეხბურთის (ისინი „სოკერს“ რომ უწოდებენ) პოპულარობა დიდად გაიზარდა, თუმცა ამერიკული საფეხბურთო ბაზარზე „იუნაიტედის“ საფეხბურთო ბაზარზე „იუნაიტედი“ არნახული წარმატებით ვაჭრობს საკუთარი დიდებული სახელით — ტელეტრანსლაციებით თუ დევიდ ბექემის ავტობიოგრაფიული წიგნით. გაივლიდა სინდისა თუ სინგაპურის ქუჩებში და ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაინახავთ წითელ მისურებში გამოწყობილ ახალგაზრდებს, ზურგზე „B E F I T“ ან რომელიმე სხვა მანჩესტერელის გვარი რომ აწერიათ.

სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ევროპაში ფეხბურთის მოყვარულთა 15 პროცენტი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ქობაგობს, 14 — „რეალს“, 12 — „იუვენტუსს“ 10 — „ბარსელონას“ და 8 — „მილანს“. აქ ბებერ კონტინენტზე „მანჩესტერი“ ლიდერია, თუმცა მცირედი უპირატესობით, იქ კი, აზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში მასთან ახლოს ვერაინ მიავა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ პირველი სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედი“ იწყებს ამერიკული ბაზრის ათვისებას. და განა მხოლოდ ინგლისელები რჩებიან მოგებულნი. ასე თუ ვფიქრობთ, ამერიკელები არ გვცნობია.

„იუნაიტედს“ და „ნეთსს“ შორის დადებული შეთანხმების დეტალები ბოლომდე ცნობილი არაა, თუმცა საქმეში ჩახედული ხალხი გარიგების უზარმაზარ მასშტაბებზე საუბრობს. „იუნაიტედის“ სიმბოლიკით დამზენბული საქონელი „იანკი ნეთსის“ მალაზიათა ქსელის მეშვეობით მიულ ჩრდილოეთ ამერიკას მოედება, ხოლო „იუნაიტედის“ კუთვნილ ნებისმიერ მაღაზიაში, ნებისმიერ კონტინენტსა და ქვეყანაში „იანკის“, „ნეთსის“, „დევილზის“ თუ „ჯაიანტისის“ ემბლემებიან ნივთებს შეიძენთ. გარდა ამისა, მხარეებს ერთობლივი სარეკლამო და სატელევიზიო პროექტების განხორციელება დაუდგამთ. ამასთანავე, 2003 წელს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამერიკაში საჩვენებელი მატჩების გასამართად ჩავა.

და თუ გვეონია, რომ აღნიშნული შეთანხმების მნიშვნელობა არცთუ დიდია, ლონდონის საფონდო ბირჟას დავეკითხოთ — იქ შეთანხმების გაფორმებისთანავე „იუნაიტედის“ აქციათა ფასმა 13 პროცენტით მოიმატა და დღემდე იზრდება.

არ არის გამორიცხული, რომ მალე ფეხბურთის სპორტად მიჩნევა ისეთივე გულშემატკივლობა იყოს, როგორც ბრიტნი სპირსის სიმღერისა — ხელოვნებად.

თავივე აღნიშნეთ, რომ „იანკი ნეთსი“ რამდენიმე მსხვილ კლუბს აერთიანებს. ამათგან უდიდესია „ნიუ იორკ იანკის“, ბეისბოლის ლიგის უდავო ლიდერი. თუ „იუნაიტედს“ და „იანკისს“ შევადარებთ, მსგავსების დანახვა ძნელი არ იქნება. „იუნაიტედი“ ამ სეზონში პრემიერლიგის მოგებას აპირებს — მეშვიდედ ბოლო ცხრა სეზონში „იანკისს“ კი ბოლო

ხუთ სეზონში ბეისბოლის ამერიკული ლიგა ოთხჯერ მოუგიათ. საუკეთესო კლუბები ყველაზე მდიდრებიც არიან: „მანჩესტერი“ დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარი ღირს, ხოლო ნიუიორკული გიგანტი — 600 მილიონი.

მსგავსება უმცირეს დეტალებშიცაა: მანჩესტერელთა ლიდერი დევიდ ბექემი „სპაიზ გულზის“ ვიქტორია ადამსზეა დაქორწინებული, ნიუიორკელთა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავ დერეკ ჯეტერს კი რომანი აქვს ამჟამინდელ „მის მსოფლიოსთან“.

თავში ვთქვით, გარიგება კერძო შემთხვევის ჩარჩოებს სცილდება და უფრო ზოგადი სახე აქვს, თუმცა აქამდე თუ ორი კომპანიის ურთიერთობებზე ვლაპარაკობდით, მთავარი სათქმელისთვის აუცილებელი გახლდათ. ვფიქრობთ, ორი კომპანია ოდენ ზედმეტი რამდენიმე ასეული მილიონის მოსახვეჭად არ გაერთიანებულა. მთავარი ისაა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ გადადგმული ნაბიჯი კიდევ უფრო ძლიერ გადახრის ევროპულ ფეხბურთს ამერიკული შოუ-ბიზნესისკენ. შოუს ელემენტები აქამდეც შეინიშნებოდა ევროპულ ფეხბურთში, მომავალში კი — მით უფრო.

ასევე ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამერიკისა და კანადაში სპორტს უკვე დიდი ხანია, აღარ „მართავს“ ცხოვრებული პიერ დე კუბერტენი. აქ უფრო დიდი ეკონომისტის, ადამ სმიტის იდეებზე შეიძლება საუბარი. ჩვენ თავს გულშემატკივრებს ვუწოდებთ, ამერიკაში კი ეს სიტყვა უკვე სხვაგვარად ფერს — საკლუბო პროდუქციის მომხმარებელი. პროდუქცია, გასაგებია, მაგჩს ეწოდება. სპორტი სპორტისთვის — ჩრდილოეთ ამერიკაში ასეთი რამ პრაქტიკულად აღარ არსებობს. სპორტსმენის ყოველ გამოჩენას მოედანზე, სარბენ ბილიკსა თუ გოლფის მინდორზე მოგება უნდა მოჰქონდეს. მეტიც, ფული მათმა ყოველმა გადიმებამ, დახვეწებამაც კი უნდა მოიტანოს. რაღა შორს წავიდეთ, ამას წინათ ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა პატრიკ რაფტერმა საჯაროდ თავი გადაიხივრა, რასაც აქცია უწოდეს და მილიონი დოლარი მოიხვეჭეს. ამერიკელთა აღნიშნული რწმენა თუ მისწ-



ეს დევიდ ბექემი არაა, ბრიტნი სპირსია

რაფება ასპიდურ ფიქალზე უფრო მტკიცეა, არადა, ამ მასალით მანჭეტენის ცათამბჯენის დიდი ნაწილია აგებული. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამერიკული შოუ-ბიზნესის წვერი გახდა. ევროპელთაგან ის პიონერია. დროთა განმავლობაში მას სხვებიც მიბამავენ, „რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი ამაზე უკვე აღაპარაკდა.

ერთი წლის შემდეგ ჯორჯ ლუკასი „ვარსკვლავების ომების“ მორიგი სერიის გადაღებას შეუდგება. ჯორჯ ლუკასის მიზანი კანის კინოფესტივალზე „ოქტოს პალმის“ მოპოვება არ იქნება; მან ფული უნდა იშოვოს — ბილეთებზე, საუნდერტეხზე, კინოდარბაზში შეჭმულ ბატბუტზეც კი.

ორი წლის შემდეგ ბრიტნი სპირსი მზნებარე რომანს გააბამს ბრედ პიტთან — მომღერალს ახალი ალბომის, ხოლო მსახიობს ავტობიოგრაფიის გაყიდვა დასჭირდება.

სამი წლის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ პიდელტში ნაკატას იყიდის, რათა იაპონურ ბაზარზე პოზიციები განიმტკიცოს და $B \times \text{TSU} \times B \times \text{TSU}$ -ის შეთავაზებული ფულის გამო უარყოს.

ოთხი წლის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ რუკრეტ მერდოკის სუპერლიგიდან ბელ გეიტსის ექსტრალიგაში გადავა, რადგან გეიტსი სასტიკ კონკურენციაში დანაგარავს მერდოკს. იმ დროისთვის თამაშს სარეკლამო ტაიმ-აუტზე დადკოფენ, ხოლო კარის ზომას გაზრდიან — შედეგანობის მატებისთვის.



გვეჭკვებათ? გაგვბდავთ და ვივარაუდებთ, რომ რაც „ვარსკვლავების ომებსა“ და ბრიტნი სპირსის „სიყვარულზე“ ვთქვით, სადავოდ არ მოგეჩვენებათ, რადგან შოუ-ბიზნესის კანონები ასეთ რამეებს თვალისწინებს. ჰოდა, ფეხბურთსაც შოუ-ბიზნესის ნაწი-

ლად თუ მივიჩნევთ, დანარჩენი პროგნოზების რატომ უნდა გვეჭკვებოდეს?


თუმცა დღემდე არსებობს იმედი, რომ კომერციალიზაციის მიუხედავად ევროპული სპორტი თავდაპირველ იდეას არ დაკარგავს და მის უპირველეს დანიშნულებად უძლიერესის გამოვლენა დარჩება. ამ იმედს საფუძვლად ის მოსაზრება უდევს, რომ ამერიკელებს და ევროპელებს განსხვავებული კულტურულ-გენეტიკური კოდი აქვთ. თუკი ბევრ ევროპელს სჯერა, რომ ნულოვანი ფრე ფეხბურთის მშვენიერებაა, ამერიკელთათვის მთავარი შედეგანობაა. ვაინსენით, რომ როცა $B \times \text{TSU}$ შედეგანობა დაეცა, ამერიკელებმა თამაშს წესებში რამდენიმე ცვლილება შეიტანეს და ჩვეულ „ასიანებს“ დაუბრუნდნენ. ევროპაში კი დღემდე არსებობს მოსაზრება, რომ სპორტი და კერძოდ, ფეხბურთი უპირველესად გულს უნდა ახარებდეს და არა თვალს. მილიონობით იტალიელი ზის და გაფაციცებით უყურებს, თუ როგორ დუნელ ახერხებენ „იუნაიტედის“ და „რომა“ $B \times \text{TSU}$ -ს. მაგრამ სად არის გარანტია, რომ ეს მილიონები უფრო დიდი სიამოვნებით არ ჩაუვადებდნენ „ტურინელ ზებრებს“ და „რომაელი გლადიატორების“ ნახევრად დადგმულ უზგვოლიან მატჩს? ხოლო ტაიმ-აუტების დროს ნახევრად შიშველი გოგონების ცქერით არ დატკებდნენ?

ყველაფერი იცვლება. XXI საუკუნის გარიჟრაჟზე საფეხბურთო ვექტორი სრულიად გარკვევით მიმართულია შოუსკენ. თანამედროვე ფეხბურთის იდეოლოგია მზერა საკლუბო პროდუქციის მომხმარებლისკენა მიპყრობილი, რომელთა გულეებიც უკვე დაუპყრია პოლიეუდს და $T \times \text{TSU}$ და ვისთვისაც დევიდ ბექემი ბრიტნი სპირსის მსგავსად უბრალოდ შოუა.

გიორგი დარჯანიანი



ვის მოაქვს მილიონები: ამერიკაში დერეკ ჯეტერსა და მის „მის მსოფლიოს“, ინგლისში დევიდ ბექემსა და ვიქტორია ადამსს



პოლანდია. I დივიზიონი
16 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for სიტარდი-აიაქსი, როზენდალი-ალკმარი, and ჰერენვენი-როდა.

პოლანდია. II დივიზიონი. 21-ე ტური
17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ვენდამი-პარლევი, ტელსტარი-ემენი, and დენ პოსხი-ექსელსიორი.

ბელგია. I დივიზიონი. 23-ე ტური
16 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ვესტერლო-მუსკრონი, მეხელენი-ლუვიე, and ანტვერპენი-ლიერსი.

ბელგია. II დივიზიონი. 24-ე ტური
17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for გეკელი-მონსი, დესელი-მოდენბეკი, and ინტელმუნსტერი-სერკლი.

ჩეხეთი. მე-17 ტური
16 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ტეპლიცე-პრეიბრამი, ბოჰემიანსი-ბუდეიოვიცე, and სინოტი-დრნოვიცე.

საბერძნეთი. მე-15 ტური
17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for პანათინაიკოსი-ოფი, პანათინაიკოსი-ოფი 0:1, and პაოკ-არისი.

ინგლისი. თასის მე-5 ეტაპი
17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for იეთფა-ფენერბაჩე, დენიზლი-ანთალია, and ქოჯაელი-ტრაბზონი.

ინგლისი. თასის მე-5 ეტაპი
17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for სანდერლენდი-ვესტ პემი, ბოლტონი-ბლექბერნი, and ლესტერი-ბრისტოლი.

შოტლანდია. თასის მე-4 ეტაპი
17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for დანფერმლიანი-სელტიკი, პართსი-დანდი, and მოსერველი-დანდი იუნაიტედი.

შოტლანდია. თასის მე-5 ეტაპი
17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ვანგენი-ქსამაქსი, თუნი-ლუცერნი, and ვილი-სენტ გალენი.

კალაბურთი
16 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ფილადელფია-კლი პერსი, შარლოტი-ლუიკერსი, and ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი.

17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for დალასი-ვინგტონი, ნიკაგო-მაიამი, and პიუსტონი-კლივლენდი.

18 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ტორონტო-სან ანტონიო, ფილადელფია-ფინიქსი, and ნიუ ჯერსი-კლი პერსი.

19 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for კლივლენდი-ნიკაგო, დეტროიტი-კლი პერსი, and მილუოკი-სან ანტონიო.

პოკეი
16 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for კაროლინა-ფინიქსი, ნიუ ჯერსი-პიტსბურგი, and დეტროიტი-კოლუმბუსი.

17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ტორონტო-კოლორადო, მონრეალი-ვინგტონი, and ფილადელფია-ატლანტა.

18 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ბუფალო-ნიუ ჯერსი, ტამპა ბეი-რეინჯერსი, and კოლუმბუსი-პიტსბურგი.

19 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for კაროლინა-ბოსტონი, მინესოტა-სან ხოსე, and ჩიკაგო-სენტ ლუისი.

20 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ნეშვილი-სან ხოსე, მინესოტა-ლოს ანჯელესი, and დალასი-ანაჰაიმი.

რაგბი. ექვსი ვრის თასი. მე-2 ტური
17 თებერვალი

Table with 4 columns: Time, ID, Name, and three performance metrics. Includes entries for ირლანდია-საფრანგეთი, ინგლისი-იტალია, and შოტლანდია-უელსი.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ
პროქოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანის, სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმალელსთან“)
წერეთლის გამზირი №11
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთაველი — შარტავას ქუჩა №7
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61



ზეუსიური აბჯები სსოვრების სიბოლოში ასე ღღვებოდა ყინული

ამ სახეობებში გამართულმა პირველმა ოფიციალურმა შეჯიბრებებმა ხუთი წლით დაასწრო მსოფლიოს სპორტსმენთა უდიდეს ფორუმს, რომელსაც ამდენივე რგოლი აერთიანებს. ზამთის ამ სახეობათა წარმომადგენლების გარდა ასეთი პატივი წილად ხვდათ მხოლოდ სატრეკო ველომობლებსა და ნიჩბონებს, რომლებმაც 1893 წელს შესაბამისად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ჩაატარეს, თუმცა ველომობლებს მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვა მოციგურავეებმა მაინც დაასწრეს, როცა იმავე წელს ორსაში (იტალია) იასპარესეს.

და რაკი ციგურებზე შემდგარი ხალხი ასე დაწინაურებულა და თავისი აქტიურობით ყინული გაუღვივია, ურიგო არ იქნება მათი ყინულოვანი ამბების გახსენება, რომელიც უხსოვარი დროიდან იწყება.

მკვლევართა აზრით, ადამიანი ციგურებზე თხილამურებზე ადრე შედგა, თუმცა, ვინ იყო პირველი გამჭრიახი, არავინ იცის. არც ის იციან, თუ ეს როდის მოხდა, იმაში კი დარწმუნებულნი არიან, რომ პირველი ციგურები ცხოველთა ძვლებსგან 4000 წლის წინათ დაუმზადებიათ. იმდროინდელი ასეთი ციგურები ბერნის საქალაქო ბიბლიოთეკაში ინახება. ამას გარდა, ინგლისისა და ნორვეგიის ჭაობებში აღმოჩენილი 3000 წლის წინანდელი ცხოველთა ძვლები იმგვარადაა დამუშავებული, რომ სავარაუდოდ ისინი ციგურები უნდა ყოფილიყო.

მერე ძვლები ხემ შეცვალა. ხის ციგურებით თურმე საკმაოდ დიდი სისწრაფის განვითარება შეიძლებოდა. ეს ამ ათი წლის წინათ დაადასტურა სახელგანთქმულმა ნორვეგიელმა მრავალჯის ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ოლაფ კოსმა, როცა საქმსპერმიენტლად ხის ციგურები მიირგო და გასრიდა.

საციგურაოდ თუ როდის შეცვალა რკინამ ხე, არც ესაა ცნობილი, მაგრამ ერთ შეშენიერ დღეს უნგრელმა არქეოლოგმა ჰერმანმა ბალატონის ტბის მიდამოებში იპოვა რკინისგან დაზადებული ციგურები, რომლებიც, მისი აზრით, 2000 წლისა და კელტების დროინდელია.

დანამდვილებითაა ცნობილი, რომ დაახლოებით 1250 წელს ნიდერლანდლები ხმარობდნენ ხისგან დამზადებულ ციგურებს, რომელსაც ქვემოდან ალესილი რკინის პირი ჰქონდა ამოკრული. მკვლევართა აზრით, ის დრო შეიძლება თანამედროვე გაგებით ციგურებით რბოლის დასაწყისად მივიჩნიოთ.

ცხადია, თავდაპირველად ციგურები მხოლოდ და მხოლოდ ყინულზე გადაადგილების საშუალება იყო. მერე და მერე ციგურები ისეთი პოპულარული გახდა, რომ 1742 წელს ედინბურგში საციგურაო კლუბიც კი დაარსდა, 1763 წლის თებერვალში ინგლისში გაიმართა მოციგურავეთა პირველი ოფიციალური ასპარეზობაც, რომელშიც ორი კაცი ერთმანეთს 15 ინგლისურ მილზე (24,135 კმ) რბოლაში გაეჯიბრა. გამარჯვებულმა ეს დისტანცია 46 წუთში დაფარა.

იმ ხანად შეჯიბრებების გამართვასა და ამ სახეობის დახვეწას ხელი შეუწყო ევრეთწოდებულმა ჯენტლმენთა სპორტმა. ამ საქმეში დიდი ბიძგი იყო დოღების შედეგების მსგავსად ნიძლავეები იმის თაობაზე, თუ რომელი მოციგურავე გაიმარჯვებდა და როგორი სახის ციგურებით რბოლა სჯობდა. მათი შედეგებისადმი ინტერესს განაპირობებდა არა მხოლოდ სანაძლეობის მოგება, არამედ მანძილისა და დაბრკოლებების სწრაფი და ეფექტური გადალახვის უნარის გამოვლენა, რაც მოეთხოვებოდატ მაცნებებს, კურიერებსა და ვაჭრებს. ციგურებით რბოლას, ფიგურულად ციგურობასა და ყინულზე ბურთით თამაშობებს განსაკუთრებით მფარველობდნენ ნიდერლანდელი საქმოსნები. ყინულზე ყოველგვარი სრიალი ინგლისისა და პოლანდიაში ისეთი პოპულარული გახდა, რომ ეს საქმე სპორტის ეროვნულ სახეობებად მიიჩნია. ნიდერლანდელელებმა სულაც სა-

ყინულის ღლიობის დასაწყისიდან 110 წელი სრულდება, საიუბილეო თარიღზე კი ისტორიას იხსენებენ. ჩვენც ვიხსენებთ ყინულის ღლიობის დასაწყისს, რაც გამყინვარებით დაიწყო. მაშინ, 1891 წლის პამბურგში მოაწყვეს ყინულის სარბიელი, სადაც ფიგურულ ციგურობასა და „ჩვეულებრივ“ ციგურობაში ევროპის ჩემპიონატები ჩატარდა. ეს იყო პირველი ევროპის ჩემპიონატები არა მხოლოდ ამ სახეობებში, არამედ საერთოდ პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრებები მსოფლიოს სპორტის ისტორიაში.



გუბინინდელი ფოტო ბუდაპეშტიდან. აქ ევროპაში უძველესი, 75 წლის წინანდელი ხელოვნურსაფარიათი საციგურაოა



XIX საუკუნის ნახატი: პოლანდიელი მოციგურავე გოგონების შეჯიბრება

ხელი გაითქვეს, როგორც საციგურაო ერის წარმომადგენლებმა. ეს საქმე მეტად პოპულარული გახდა სხვა ქვეყნებშიც.

ევროპაში იმხანად ციგურობის პოპულარობაზე მეტყველებს გამოჩენილი გერმანელი პოეტის ფრიდრიხ გოტლიბ კლოპშტოკის შემოქმედებაც. მიუხედავად იმისა, რომ კლოპშტოკი გატაცებული იყო დიდის ტანვარჯიშით, ითვლებოდა კარგ ცხენოსნად და ბრწყინვალე მოფარიკავედ, 1764 წელს მან დაწერა ლექსი „ციგურებით სრიალი“. მასში სპორტის ეს სახეობა ხელოვნების ნაწარმოებთანაა შედარებული, მოგვიანებით დაწერილ ლექსში კი ციგურებით რბოლა აღმერთა, როგორც გაჯანსაღების უებარი საშუალება, რომელსაც შეუდარებელი სიხარული მოაქვს.

გერმანიაში ციგურობის მესობზე

იყო გოეთეც. ამ თემაზე დაწერილ ლექსში — „საციგურაო“, მან სპორტის ცხოვრების სიმბოლო უწოდა.

თანამედროვენი გოეთეს თავდავიწყებულ მოციგურავედ იცნობდნენ. მისი გარდაცვალებიდან 50 წლის მერე, 1882 წელს ვილჰელმ ფონ კაულბახმა დახატა სწორედ ციგურებით მსორიალე ახალგაზრდა გოეთე, რომელსაც აღტაცებით შესცქერიან ქალბატონები.

ციგურობის მესობებში იყვნენ სხვა გამოჩენილი პიროვნებებიც. მათი წყალობითაც ციგურობა მეტად პოპულარული გახდა. ამის დასტურად გამოდგება 1805 წელს ნიდერლანდებში გამართული ქალთა ასპარეზობაც, რომელშიც ასოცდათნი იბრძოდნენ გამარჯვებისთვის.

ევროპელებს მხარი აუბეს ამერიკელებმაც, რომლებმაც 1879 წელს თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატიც გამართეს 10 და 20 ინგლისურ მილზე რბოლაში.

ბუნებრივად, როცა ადამიანი ციგურებზე პირველად შედგა, მაშინ იგი ფიგურულ სრიალზე და გაართობაზე კი არა, არამედ მეტად პრინაულ და მიწიერ პრობლემებზე გალაღვილებასზე ფიქრობდა. „ზეტურ კამუბზე“ არუ ციგურებით ფიგურების ქარგაზე, იგი დიდ დაკვირვებით დაფიქრდა. ვარაუდობენ, რომ ეს საქმე დიდ ბრიტანეთში ჩაისახა. ყოველ შემთხვევაში, უტყუარადაა ცნობილი, რომ 1742 წელს ედინბურგში დაარსებული მსოფლიოში პირველი მოციგურავეთა საზოგადოება უფრო ფიგურულად მოსრიალებს აერთიანებდა, ვიდრე ჩვეულებრივად მოციგურავეებს. ედინბურგისა და სხვა ინგლისურ საციგურაო კლუბებში ჩასარიცხად საჭირო იყო საკმაოდ მაღალი საწვევოს გადახდა და მისაღები გამოცდების ჩაბარებაც. ნაირგვარი სახის გამოცდა ითვალისწინებდა ცალ ციგურით სრულ წრეზე სრიალსა და სხვადასხვა წინალობებზე გადახტომას.

არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ედინბურგის ფიგურულად მოციგურავეთა კლუბის დაარსებამდე 22 წლით ადრე, 1722 წელს, რომერჯონსმა დაწერა საგანგებო წიგნი-სახელმძღვანელო საციგურაო სპორტზე. მათში საუბარია ციგურების შიდა და გარე პირების გამოყენებაზე, დამუხრუჭებაზე, ზურგით წინ სრიალზე, სხვადასხვა სახის წიომებზე, რომელთაგან ყველა ერთულ მეთოდადაა დასახელებული „უეხების გამოლით ხტომა“.

1742 წელს, როცა ედინბურგში მოციგურავეთა კავშირი დაარსდა და იმავე წელს ლონდონში მოციგურავეთა პირველ ოფიციალურ ასპარეზობაში ის ორნი ერთმანეთს 15 ინგლისურ მილზე რბოლაში გაეჯიბრნენ, გამონდა კაცო, რომელმაც ფიგურულ ციგურაობაში პირველი ოფიციალური საწვენებელი გამოსვლები მოაწყო. პედის ირონიით იგი ბრიტანელი კი არა, ამერიკელი ბესტი იყო.

ასევე ამერიკელი იყო ბალეტის მოცეკვავეებით შთაგონებული მოციგურავე ჯეკსონ ჰენესი. იგი საუკუნის მერე, 1868 წელს ევროპაში საჩვენებელი პროგრამით წარდგა და აჩვენა ბალეტი ყინულზე. თანაც ამ საქმეში საკუთარი გამოგონების ციგურები გამოიგენა.

ფიგურული ციგურობის განვითარებას ფრიად შეუწყო ხელი 1892 წელს შექმნილმა ციგურობის საერთაშორისო კავშირმა (ისუ). იგი აერთიანებს ციგურებით რბოლასაც, ფიგურულ ციგურობასაც და ყინულზე ცეკვებსაც. ეს კავშირი ციგურაობაში ატარებს მსოფლიოსა (1893) და ევროპის (1891) ჩემპიონატებს, 1924 წლიდან კი ციგურებთ რბოლა ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია.

რაც შეეხება ფიგურულ ციგურაობას, მან ოლიმპიური სტატუსი ჯერ კიდევ ლონდონში, 1908 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მიიღო, მსოფლიოს ჩემპიონატებს კი 1896 წელს ჩაეყარა საფუძველი.

და მაინც, ციგურობის საერთაშორისო კავშირის დაფუძნებას დასწრო ციგურებით რბოლასა და ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონატების გამართვამ, რამაც დასაბამი მისცა საერთოდ სპორტის ისტორიაში პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრებების დაწყებას. მაშინ ფიგურულ ციგურაობაში მხოლოდ ვაჟები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველას გერმანელმა ულინგმა აჯობა, ციგურებით რბოლაში კი, სადაც ასევე მხოლოდ ვაჟები გამოდიოდნენ, ჩემპიონი ვერ გამოვლინდა.

საქმე ის იყო, რომ ეს ტიტული უნდა მიანიჭებოდა მას, ვინც სამივე ან ორ დისტანციაზე გაიმარჯვებდა, ეს კი ვერავინ შეძლო. შეეცადილმა იდემა 536 მეტრზე რბოლაში გაიმარჯვა, ნორვეგიელმა ნორსენმა 1609, ხოლო გერმანელმა უნდერბორგმა 4827 მეტრზე. მრავალჭიღში ჩემპიონი მომღვეწო წელს გამოვლინდა, როცა ვენაში მასპინძელმა შილინგმა 1609 და 4827 მეტრზე ასპარეზობაში იმარჯვა.

ამთაწილ გურასაწილი



ახალგაზრდა გოეთე და მისი ციგურაობით აღფრთოვანებული ქალბატონები



პოლანდიის რომელიღაც გაყინული სოფლის არხზე მოციგურავენი. პანს მიუსის ამ სურათმა 1994 წლის სოკის ფოტო კონკურსზე გაიმარჯვა

AP პიტსბურგედიან



ყიჩაზა

საღაც ნაღდი პოეზია, იქ ამგვარი ამბებიც ხშირია. მინესოტელი ლადისლავ ბენიშეკი (N83) და პიტსბურგელი იან პრდინა ჩეხურ-სლოვაკურ ჭიდილს ჩრდილოამერიკულ ყინულზეც აგრძელებენ. არც ერთია მინესოტელი და არც მეორე პიტსბურგელი. ამ უკანასკნელთ კი 2:1 მოუგიათ.



REUTERS ნიუ იორკიდან

ყაყანა

პორტლენდელი რაშიდ უოლესი რომ დიდი ყაყანა კაცია, ყველამ იცის, გამუდმებით ეკამათება მსაჯებს და ტექნიკურ შენიშვნებსაც ხშირად იმსახურებს. არც რეფერი ჯექ ნისს დანანებია ტექნიკური ფოლი ბოტოქარი რაშიდისთვის. შარშანდელ სეზონში უოლესი 58 ტექნიკური შენიშვნით ასოციაციის „ჩემპიონი“ გახდა, ყაყანათა სიას წლეულსაც ლიდერობს და, როგორც ამბობენ, საკუთარ რეკორდსაც მალე მოხსნის.



AP პორტლენდენიდან

თაიგული მტრისათვის

7 აპრილს ლას ვეგასში ბუმბულის წონის ქაშართა გამაერთიანებელი ბრძოლა გაიმართება, ცუნდრუკა ბრიტი, ტომით არაბი პრინს ნასიმ ჰამედი მექსიკელ მარკო ანტონიო ბარერას შეეჯინება. ერთობლივი პრესკონფერენცია ნიუ იორკში სიცილ-ხარხარით გალეულა, მექსიკელს წითელი ვარდების თაიგულიც კი მიუძღვნია პრინსისთვის, დღეს წმინდა ვალენტინის დღეა, ერთმანეთი გვიყვარდესო.

REUTERS ნიუ იორკიდან



ღონი ღიდ კადალთან

ჩინეთამდე მისულა მსოფლიო კრივის სუპერ-მენეჯერი, მელაკუდა ღონ კინგი, რომელიც ახალი ბაზრის ძიებაში, „ჩინეთის დიდი კედლის სპორტული კომპანიის“ თავგაც ლიშია ნიუს მიდგომა და უთქვამს, მძიმე წონის საჩემპიონო ორთაბრძოლა ერთს მხრივ ევანდერ პოლიფილდსა და მეორეს მხრივ ჯერაც უცნობ პრეტენდენტს შორის სწორედ კრივისთვის ახალ ადგილას, პეკინში უნდა ვაგმართოთ, ამა წლის ივნისში. ხელს მითბობენ, ნაღდია.

აბელი ბი ბებზ


ნიცაში რომ ქალ ჩოგბურთელთა ტურნირი მიმდინარეობს, იქ ფრანგი აბელი მორესმო იოლად ერევა ქარაქუცებს. ჯანმბავარ აბელის შვედი ასა ლარსონი დაუმარცხებია ს:1, ს:3. ამ წამიერი პირბადის უკან კი სულაც არ იმალება ლამაზი, ქალური სახე.



REUTERS ნიცაიდან

ნორდული პედლეგისტვის

ფინეთის ქალაქ ლაპტიში გუშინ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ნორდულ კომბინაციაში, ანუ ტრამპლინიდან ხტომისა და თხილამურებით გარბენის ერთობლივ შეჯიბრში. ეს ფოტო კი ვარჯიშობისას გადაუღეს ავსტრიელ ფელიქს გოტვალდს. განა იოლია თხილამურებზე ფრენის ოსტატიც იყო და თხუთმეტკილომეტრიანი თოვლიანი გზაც სწრაფად გალიო?



REUTERS ლაპტიდან

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამსახურს,
ოთხსაბათს, ხუთსაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳოცხვერიანი
ლიტერატორი ბიორბი ოქრომჭაქელი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი მანუჩარ ბუნიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია

რედაქციის რედაქცია გია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლოვი, ნიკოლოზი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბოიანიძე, ნათელა გორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოვრაშვილი, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
ჭაბუკი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვებ-გვერდი
<http://www.sarbieli.com.ge>